საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 966 2019 წლის 25 აპრილი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ფერისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს „ფერს“ (ს/კ: 211352187) პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 2841 (ორი ათას რვაას ორმოცდაერთი) ლარად, საკუთრებაში გადაეცეს ახმეტის მუნიციპალიტეტში არსებული, ამ განკარგულების დანართში მითითებული უძრავი ქონება.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში;

ბ) საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „ფერს“ შორის 2015 წლის 31 ივლისს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმით განსაზღვრული ჰიდროელექტროსადგურ „სამყურისწყალი 2 ჰესის“ აშენება და ამავე მემორანდუმით განსაზღვრულ ვადაში ექსპლუატაციაში მიღება.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**

N	მისამართი	დანიშნულება	საკადატრო კოდი	მიწის ფართობი კვ.მ
1	მუნიციპალიტეტი ახმეტა	არასასოფლო-სამეურნეო	50.25.31.062	106
2	მუნიციპალიტეტი ახმეტა	არასასოფლო-სამეურნეო	50.25.31.058	41
3	მუნიციპალიტეტი ახმეტა	არასასოფლო-სამეურნეო	50.25.31.064	106
4	მუნიციპალიტეტი ახმეტა	არასასოფლო-სამეურნეო	50.25.31.059	41
5	მუნიციპალიტეტი ახმეტა	არასასოფლო-სამეურნეო	50.25.33.424	106
6	მუნიციპალიტეტი ახმეტა	არასასოფლო-სამეურნეო	50.25.31.063	106
7	მუნიციპალიტეტი ახმეტა	არასასოფლო-სამეურნეო	50.25.31.061	41
8	მუნიციპალიტეტი ახმეტა	არასასოფლო-სამეურნეო	50.25.31.060	41
9	მუნიციპალიტეტი ახმეტა	არასასოფლო-სამეურნეო	50.25.31.057	41
10	მუნიციპალიტეტი ახმეტა	არასასოფლო-სამეურნეო	50.25.31.056	106
11	მუნიციპალიტეტი ახმეტა	არასასოფლო-სამეურნეო	50.25.33.422	106
12	მუნიციპალიტეტი ახმეტა	არასასოფლო-სამეურნეო	50.25.33.423	106